

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №433

2024 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 38-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მაგალითი 1.“:

„მაგალითი 1.

ფაქტობრივი გარემოებები:

არარეზიდენტი საწარმოს (შვეიცარიული ავიაკომპანიის) საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულება (შემდგომში – მუდმივი დაწესებულება) ახორციელებს საჰაერო ხომალდით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანებს. აღნიშნულ მუდმივ დაწესებულებას დაქირავებული ჰყავს საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად საქმიანობას ახორციელებს საჰაერო ხომალდზე.

საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირის ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი 10 000 ლარი დაექვემდებარა დაბეგვრას როგორც არარეზიდენტი საწარმოს (დამსაქმებლის) ფაქტობრივი მართვის ადგილის მიხედვით – შვეიცარიაში (15 %), ასევე მუდმივი დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით – საქართველოში (20 %).

ანალიზი:

„შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის შეთანხმების (შემდგომში – შეთანხმება) 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, როდესაც საქართველოს რეზიდენტი იღებს შემოსავალს, ან ფლობს კაპიტალს, რომელიც ამ შეთანხმების დებულებების თანახმად შეიძლება დაიბეგროს შვეიცარიაში, საქართველო დაუშვებს ამ რეზიდენტის შემოსავალზე გადასახადიდან იმ თანხის გამოქვითვას, რომელიც შვეიცარიაში შემოსავალზე გადახდილი გადასახადის ტოლია. ასეთი გამოქვითვა, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს შემოსავალზე გადასახადის ან კაპიტალზე გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც გამოქვითვამდე იყო დაანგარიშებული.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის გაცემული ხელფასი შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას როგორც საქართველოში, ისე შვეიცარიის კონფედერაციაში, ამ უკანასკნელ სახელმწიფოში გადახდილი გადასახადის თანხა ექვემდებარება გამოქვითვას საქართველოში, შეთანხმების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული გამოქვითვა უნდა განხორციელდეს საგადასახადო აგენტის მიერ.

შედეგი:

მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო აგენტი ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, უფლებამოსილია, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სტრიქში მიუთითოს შვიდცარიანი დაკავებული და გადახდილი გადასახადის თანხა 1500 (10 000-ის 15



%) ლარი, რომელიც დააკლდება ამავე დანართის მე-11 სვეტში, იგივე განაცემზე საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხას 2000 (10 000-ის 20%) ლარს. შესაბამისად, მოცემულ სახელფასო განაცემზე, საგადასახადო აგენტს მიმდინარე საანგარიშო თვეში საშემოსავლო გადასახადში დაერიცხება 500 (2000 – 1500) ლარი.“.

2. 38-ე მუხლის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 38¹ მუხლი და თანდართული რედაქციის დანართი №II-06¹ და დანართი №II-06²:

„მუხლი 38¹. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსებაზე უფლების მინიჭების წესი

1. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსებაზე უფლების მინიჭების მიზნით, გადასახადის გადამხდელი, საგადასახადო ორგანოს მიმართავს №II-06¹ დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით იმ შემთხვევაში, თუ „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე, ერთსა და იმავე განაცემზე გადასახადის დაკავების უფლება წარმოექმნება როგორც ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ისე მეორე სახელმწიფოს (საქართველოს) და უცხო ქვეყანაში გადახდილი თანხა ექვემდებარება ჩათვლას.

2. განცხადება უნდა შეიცავდეს გადასახადის გადამხდელის დადასტურებას, რომ იგი ინფორმირებულია, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობის (უცხო ქვეყანაში დაკავებული და გადახდილი გადასახადის შესახებ) წარდგენის თაობაზე.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული იმ პირის რეზიდენტობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის მიერ უცხო ქვეყანაში გადახდილი თანხა ექვემდებარება ჩათვლას და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ამასთან, რეზიდენტობის დამადასტურებელი ცნობა არ საჭიროებს აპოსტილით დამოწმებას ან ლეგალიზებას.

4. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი განიხილავს გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილ განცხადებას და:

ა) განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გადასახადის გადამხდელს ანიჭებს უფლებას გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსებაზე;

ბ) განცხადებაში/დოკუმენტაციაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით ატყობინებს გადასახადის გადამხდელს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს. ასეთ შემთხვევაში, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მომდევნო სამუშაო დღიდან.

5. საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსებაზე უფლებამოსილ პირთა ერთიანი ელექტრონული რეესტრის წარმოებას. ამასთან, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ერთიან ელექტრონულ რეესტრში მონაცემებს ასახავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ერთიან ელექტრონულ რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) მონაცემების შეტანის თარიღი;

ბ) გადასახადის გადამხდელის დასახელება;

გ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;



დ) უცხო ქვეყნის დასახელება;

ე) განცხადების ნომერი და თარიღი;

ვ) უფლების მინიჭების თარიღი;

ზ) უფლების გაუქმების თარიღი.

7. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს „ინფორმაცია უცხო ქვეყანაში დაკავებული და გადახდილი გადასახადის შესახებ“ დანართი №II-06² ფორმით, რომელსაც თან უნდა დაერთოს უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული უცხო ქვეყანაში დაკავებული და გადახდილი გადასახადის შესახებ ცნობა, დაქირავებული ფიზიკური პირების მიხედვით და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

8. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადებით (დანართი №II-06¹) საგადასახადო ორგანოს მიმართავს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, აღნიშნული ინფორმაცია წარადგინოს გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსებაზე უფლების მინიჭებიდან 30 დღის ვადაში.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ №II-06² დანართში ინფორმაცია აისახება გრაფების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, ამასთან:

ა) I გრაფაში მიეთითება განაცემის მიმღების საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი;

ბ) II გრაფაში მიეთითება განაცემის მიმღების სახელი და გვარი;

გ) III გრაფაში მიეთითება განაცემის მიღების პერიოდი (თვე, წელი);

დ) IV გრაფაში მიეთითება განაცემის ოდენობა (ლარი);

ე) V გრაფაში მიეთითება უცხო ქვეყანაში დაკავებული გადასახადის ოდენობა;

ვ) VI გრაფაში მიეთითება საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის ოდენობა;

ზ) VII გრაფაში მიეთითება დოკუმენტის ტიპი: უცხო ქვეყანაში დაკავებული და გადახდილი გადასახადის შესახებ ცნობა; ცნობის ქართული თარგმანი (ნოტარიულად დამოწმებული);

თ) VIII გრაფაში იტვირთება VII გრაფის შესაბამისი დოკუმენტაცია: უცხო ქვეყანაში დაკავებული და გადახდილი გადასახადის შესახებ; ცნობის ქართული თარგმანი (ნოტარიულად დამოწმებული).

10. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი, ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით დადგენილ ვადებში, საგადასახადო ორგანოში არ წარადგენს უცხო ქვეყანაში დაკავებული და გადახდილი გადასახადის შესახებ ცნობას, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, მოცემულ გადასახადის გადამხდელს შეუწყვიტოს გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსების უფლება დადგენილი ვადის გასვლის მომდევნო სამუშაო დღიდან, ხოლო შემცირებული გადასახადის თანხა ექვემდებარება აღდგენას საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

